ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 210

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №01.13.01.020.129) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 2 ივნისის №5/32749 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა, მე-12 კმ-ი, ს/კ №01.13.01.020.129 რეგისტრირებული 1632 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს საპატრიარქოზე გადასაცემად ეკლესიის ასაშენებლად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი